

შპს „ევორდ ფექტორი“

ინერტული მასალის (წიაღისეულის) გადამუშავება,
ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა

სკრინინგის ანგარიში

(ონის მუნიციპალიტეტი, სოფ.ნაკიეთი)

შემსრულებელი:

შ.პ.ს. „ევორდ ფექტორი“

თბილისი 2020

საწარმოს დასახელება	შპს „ევორდ ფექტორი“
საიდენტიფიკაციო კოდი	435892722
საწარმოს განთავსების ადგილი	ონი, სოფ.ნაკიეთი
საწარმოს იურიდიული მისამართი	თბილისი-რუსთავის გზატკეცილი, მე-17 კმ.
საქმიანობის სახე	ინერტული მასალის და ბეტონის წარმოება
საწარმოს დირექტორი	თორნიკე ჭკადუა
საკონტაქტო ტელეფონი	577-50-96-69
საწარმოს წარმადობა	62000მ ³ ინერტული მასალა, 86400მ ³ ბეტონი და 30000მ ³ ბეტონის ნაკეთობა.
გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი პირი	თორნიკე ჭკადუა
საწარმოს მიერ დაკავებული ფართობი	0,4847 ჰა
ანგარიში მომზადებულია	შპს „ ევორდ ფექტორი“

შესავალი

შპს „ევორდ ფექტორი“ ს/კ 435892722 ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაკიეთის ტერიტორიაზე აპირებს, ბეტონის ქარხნის მოწყობას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II -დანართის მე-5.1 პუნქტის მიხედვით აღნიშნული საწარმო ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, რისთვისაც ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში და სკრინინგის განცხადება.

ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ:


- საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ;
- საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას;
- საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ;
- ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების, მისი სახეების და მაშტაბების შესახებ;

-ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;

ნაშრომი შესრულებულია საწარმოს თავისებურებათა სრული გათვალისწინებით და რაც მთავარია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

1. ზოგადი ცნობები

შპს „ევორდ ფექტორი“-ს საწარმო განლაგდება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაკიეთის ტერიტორიაზე. მანძილი ბეტონის ქარხნიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე 0,770 კილომეტრია.




ნახ.1 შპს „ევორდ ფექტორი“-ს ბეტონის საწარმო. მაშ. 1:25000.

საწარმო განლაგდება 0,4847 ჰა ფართის ნაკვეთზე, ს/კ 88.09.28.009; 88.09.28.044. ტერიტორია წარმოადგენს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით დახრილ ვაკეს, რომელიც განლაგებულია სოფ. ღარისა და ნაკიეთს შორის, საავტომობილო გზატკეცილის სამხრეთით მდინარე რიონის ქალაში, მისგან 50 მეტრ მანძილზე.

ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საავტომობილო გზატკეცილი, ხოლო სამი მხრიდან გარშემორტყმულია გამოუყენებელი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

ტერიტორიებით, სადაც ადრე სხვადასხვა საწარმოები ფუნქციონირებდა. ტერიტორიიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 200 მეტრი მანძილიდან, მდ.რიონის კალაპოტის გასწვრივ. განლაგებულია ინერტული მასალების მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები.



ბეტონის ნაკეთობათა საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობები განლაგებული იქნება ღია ცის ქვეშ.

უახლოესი მოსახლე საწარმო ტერიტორიიდან დაშორებულია 770 მ. მანძილით. საწარმოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 150 მეტრ მანძილზე, ათწლეულების წინ იყო პატარა დასახლება და საგზაო სამმართველო, რომლებიც დღესდღეობით აღარ არსებობს. საცხოვრებელი სახლები 2010 წლიდან მთლიანად დანგრეულია, ხეხილი და ვენახები განადგურებულია, ხოლო საგზაო სამმართველოს შენობა მიტოვებულია.

საწარმოს ტერიტორია ისევე, როგორც მისი მიმდებარე ტერიტორია, მთლიანად დეგრადირებულია. ბუნებრივი ლანდშაფტი შენარჩუნებულია მხოლოდ ჩრდილოეთით, საავტომობილო გზის მეორე მხარეს და სამხრეთით მდ.რიონის კალაპოტის მიღმა.

ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საწარმოში ფუნქციონირებს ბეტონის კვანძი, რომლის საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 36 მ³/სთ ბეტონს. წელიწადში გამოსაშვები ბეტონის რაოდენობა, 300 სამუშაო დღის და დღე-ღამეში 8 საათი მუშაობის პირობებისთვის, შეადგენს 86400მ³ ბეტონს, რომლის წარმოებისთვის საწარმო გამოიყენებს 34560ტ ცემენტს, 24800მ³ (44640ტ) ქვიშას, 37200მ³ (66960ტ) ღორღს, 8640ტ წყალს.

საწარმოს გააჩნია სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები, რომლებზეც მიმდინარეობს ნედლეულის - ქვიშა-ხრემის ორჯერადი მსხვრევა და დახარისხება სველი მეთოდით.

წლიურად საწარმო გამოუშვებს სულ 62000მ³ (46080ტ) ინერტულ მასალას: ქვიშას 24800მ³-ს (44640ტ) და ღორღს 37200მ³-ს (66960ტ).

ნედლეულს – მდინარის ბალასტს (ქვიშა-ხრემს) საწარმო ღებულობს თავისივე ლიცენზირებული კარიერიდან, ავტოთვითმცლელელებით. ზიდვის მანძილი შეადგენს დაახლოებით 2500 - 3000 მეტრს. შემოზიდული ინერტული მასალა განთავსდება ნედლეულის საწყობში, საიდანაც იგი მიეწოდება სამსხვრევ დანადგარის ბუნკერს, ხოლო შემდეგ სამსხვრევ დანადგარს. სამსხვრევ დანადგარებზე ნედლეული იმსხვრევა სხვადასხვა ზომის ფრაქციებად და ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით იყრება ინერტული მასალების საწყობში. აქედან დამსხვრეული მასალა ხვდება ბეტონის კვანძის

მიმღებ ბუნკერებში, საიდანაც დოზირებული სახით ბეტონშემრევს მიეწოდება ლენტური ტრანსპორტიორით. ცემენტი საწარმოში შემოიზიდება ცემენტმზიდებით და პნევმოგაყვანილობის მეშვეობით საწყობდება ცემენტის სილოსებში (35 და 70 ტევადობის ორი სილოსი), რომლებიც აღჭურვილია ქსოვილიანი ფილტრებით 99 %-იანი მტვერდაჭერით. სილოსებიდან ცემენტი მიეწოდება დოზატორს, საიდანაც დოზირებული ცემენტი ჩაიტვირთება ბეტონშემრევში. ასევე წყალიც დოზატორის გავლის შემდეგ ხვდება ბეტონშემრევში. ბეტონის მორევა ხდება დახურულ სივრცეში.

გარდა ამისა, საწარმოს გააჩნია ბეტონის ნაკეთობათა უბანი, რომელიც განთავსებულია რომელიც განთავსდება მდ.რიონიდან 57 – 58 მეტრ მანძილზე, მდინარის წყალდაცვითი ზონის გარეთ, გადახურულ დროებით ნაგებობაში და შედგება ნაკეთობათა ჩამოსხმის, გამოშრობისა და ტრანსპორტირების დანადგარებისაგან.

ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე.

საწარმო განთავსდება მდინარე რიონის ხეობაში. უშუალოდ საწარმოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ბუნებრივი გარემო, ფლორა და ფაუნა მთლიანად სახეცვლილია. საწარმოს ჩრდილოეთით, საავტომობილო გზის მეორე მხრიდან და სამხრეთით მდ.რიონის მეორე, მარცხენა მხრიდან იწყება ტყეები, რომლებიც ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თუმცა იმის გამო, რომ საწარმო მდებარეობს დასახლებულ პუნქტებს შორის, სოფლის ტერიტორიაზე, მის მიმდებარედ გავრცელებული არ არის მრავალფეროვანი და იშვიათი ცხოველთა და ფრინველთა სახეობები, რის გამოც ცხოველთა ღირებული სახეობების (მსხვილი ძუძუმწოვრები და სხვ.), ტერიტორიაზე მოხვედრის რისკი მინიმალურია და ამდენად ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც ძალიან დაბალი.

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოიყოფა მხოლოდ მტვერი, რომელიც წარმოადგენს ჰაერის მექანიკურ მინარევს. თავისი ტოქსიკურობით განეკუთვნება მე-3 კლასს. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემდეგი გაფრქვევის წყაროებია (ნახ.2):

- სამსხრევი დანადგარი (გ-1);
- ნედლეულის (ქვიშა-ხრემის) ავტოთვითმცლელიებიდან ჩამოცლა (გ-2);
- ნედლეულის (ქვიშა-ხრემის)სამსხვრევის ბუნკერში ჩაყრა (გ-3);
- ნედლეულის (ქვიშა-ხრემის)საწყობი (გ-4);
- ინერტული მასალების (ქვიშა, ღორდი) ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-5);
- ინერტული მასალების (ქვიშა, ღორდი) საწყობი (გ-6);
- სილოსებში ცემენტის ჩატვირთვა (გ-7; გ-8);
- ბეტონის კვანძის მიმღებ ბუნკერებში ინერტული მასალების ჩაყრა (გ-9);
- ინერტული მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-10);
- ინერტული მასალების და ცემენტის ბეტონშემრევი ჩაყრა (გ-11).

მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა, ცალი	ნომერი	დაახელება	რაოდენობა, ცალი	მუშაობის დრო-ღამეში, სთ	მუშაობის დრო-წელიწადში, სთ	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბეტონის და ბეტონის ნაკეთობათა წარმოება	გ-1	არაორგანიზ...	1	500-501	სამსხვრევი	2	12	3600	მტვერი	2909	1,004
	გ-2	-	1	502	ნედლეულის ჩამოცლა	1	12	3600	მტვერი	2909	0,557
	გ-3	-	1	503	ნედლეულის ბუნკერში ჩაყრა	2	12	3600	მტვერი	2909	0,078
	გ-4	-	1	504	ნედლეულის საწყობი	1	24	8760	მტვერი	2909	0,410
	გ-5	-	1	505-507	ინ. მასალების გადაადგილება	3	12	3600	მტვერი	2909	1,400
	გ-6	-	1	508	ინ. მასალების საწყობი	1	24	8760	მტვერი	2909	0,110
	გ-7	მილი	1	1	ცემენტის სილოსი	1	8	2400	მტვერი	2908	18,432
	გ-8	მილი	1	2	ცემენტის სილოსი	1	8	2400	მტვერი	2908	9,216
	გ-9	არაორგანიზ...	1	509	ინ. მასალების ბუნკერში ჩაყრა	1	8	2400	მტვერი	2909	0,104
	გ-10	-	1	510	ინ. მასალების ლენტ. ტრანსპ გადაადგილება	1	8	2400	მტვერი	2909	0,199
	გ-11	-.	1	511	ინ. მასალების და ცემენტის ბეტონშემრევი ჩაყრა	1	8	2400	მტვერი	2909 2908	0,091 0,415

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები, მ		აირჰაეროვანი ნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსვლის ადგილას			მავნე ნივთიერების კოდი	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა		მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები საწარმოს კოორდინატთა სისტემაში, მ					
			სიჩქარე, მ/წმ	მოცულობა მ ³ /წმ	ტემპერატურა, °C		მაქსიმალური, გ/წმ	ჯამური ტ/წელი	წერტილოვანი წყაროსთვის		ხაზოვანი წყაროს			
									X	Y	ერთი ბოლოსთვის		მეორე ბოლოსთვის	
	სიმაღლე	დიამეტრი							X1	Y1	X2	Y2		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გ-1	4,0	0,6	1,1	0,311	25	2909	0,077	1,004	0	0				
გ-2	3,0	0,5	1,5	0,294	25	2909	0,043	0,557	11	52				
გ-3	3,0	0,5	1,5	0,294	25	2909	0,006	0,078	-7	18				
გ-4	4,0	0,5	1,5	0,294	25	2909	0,013	0,410	-15	27				
გ-5	3,0	0,5	1,5	0,294	25	2909	0,108	1,400	23	12				
გ-6	4,0	0,5	1,5	0,294	25	2909	0,0035	0,110	33	-16				
გ-7	10,0	0,3	7,5	0,530	25	2908	0,021	0,184	82	-21				
გ-8	8,0	0,3	7,5	0,530	25	2908	0,011	0,092	84	-18				
გ-9	4,0	0,5	0,5	0,098	25	2909	0,0121	0,104	77	-55				
გ-10	4,0	0,5	0,5	0,098	25	2909	0,023	0,199	82	-44				
გ-11	4,0	0,5	0,5	0,098	25	2909 2908	0,0106 0,048	0,091 0,415	87	-25				

აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები

მავნე ნივთიერებათა			აირმტვერდამჭერი მოწყობილობის		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ ³		აირმტვერდამჭერი მოწყობილობის გაწმენდის ხარისხი	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახელება და ტიპი	რაოდენობა, ცალი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	საპროექტო	ფაქტიური
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	გ-7	2908	სახელოიანი ფილტრი	1	4,024	0,040	99	99
2	გ-8	2908	სახელოიანი ფილტრი	1	2,013	0,020	99	99

საწარმოს მუშაობის პროცესს თან დევს ხმაური და ვიბრაცია. მანქანებისა და დანადგარების ხმაურის დონე 80 დბ-ს არ აღემატება და მისგან მინიმუმ 770 მეტრით მოშორებულ და ბუნებრივი ხმის ჩამხჩობი ბარიერებით გამოყოფილ მოსახლეებზე ხმაურისა და ვიბრაციის დონე დასაშვებ ნორმებს არ გადააჭარბებს.

საწარმო ობიექტის ფუნქციონირებისას მოსალოდნელია წყლის ხარჯის შემდეგი მაჩვენებლები:

- საწარმო ობიექტის ფუნქციონირებისას საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოიყენება დაახლოებით 350 მ³/წელ. სასმელი წყალი;

საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის წყალი შემოიზიდება სპეციალური ავტოტრანსპორტით და განთავსდება ცისტერნაში.

საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ჩაშვება განხორციელდება ბეტონირებულ ორმოში, საიდანაც პერიოდულად გაიტანება ასინიზაციის მანქანებით.

- ტექნოლოგიურ პროცესში წყალი გამოიყენება:

1. ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარში სველი მეთოდით მსხვრევისას, რომლის ხარჯი ტოლია 2 მ³/სთ ანუ წყლის წლიური ხარჯი

$$V_{1წყ} = 2\text{მ}^3/\text{სთ} \times 300 \text{ დღ} \times 8\text{სთ} = 4800 \text{ მ}^3/\text{წელ};$$

2. ბეტონის დასამზადებლად $V_{2წყ} = 8640 \text{ მ}^3/\text{წელ};$

სულ ტექნიკური წყლის წლიური ხარჯი შეადგენს

$$V_{1წყ} + V_{2წყ} = 8640 + 4800 = 13440 \text{ მ}^3/\text{წელ}.$$

ტექნიკური წყლის აღება განხორციელდება მდ.რიონიდან სატუმბი სადგურის მეშვეობით, რომლის კოორდინატებია: X — 0374788; Y- 4718733

ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარში გამოყენებული წყლის ჩაშვება სალექარის გავლით ხორციელდება მდ.რიონში. ჩაშვების ადგილის კოორდინატებია: X — 0374756; Y- 4718743.

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რისთვისაც საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულია ურნა, რომლიც შევსების შემთხვევაში გაიტანება საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელზე დასუფთავების სამსახურის მიერ. ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარში გამოყენებული წყლის სალექარში დაგროვილი მასა გამოიყენება ბეტონის მომზადებისას, როგორც ინერტული

შემაჯსებელი.

საწარმოს საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში ნებისმიერი რაოდენობის ინერტული ნარჩენი და(ან) სახიფათო ნარჩენი არ წარმოიქმნება.

საწარმოს ზემოქმედების ზონაში კულტურული და ისტორიული ღირსშესანიშნაობები: ეკლესია მონასტრები, ციხეები და სხვა ისტორიული და(ან) კულტურული ძეგლი არ ხვდება და ისტორიულ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენა, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი არ არის.

უახლოეს დაცულ ტერიტორიამდე, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გეგმარების ეროვნული პარკამდე მინიმალური მანძილი 5,5 კმ-ს, ხოლო შაორი-ხიხათის გეგმარებით აღკვეთილამდე 8,5 კმ-ს აღემატება და ამდენად ნეგატიური ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მომსახურე პერსონალისა და(ან) სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.